ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №50 სხდომის ოქმი

2011 წლის 30 მაისი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ნათია კოპალიანის უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში 6 თვის ვადით;
2. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე პალეოურბანისტული კვლევების ლაბორატორიის დაფუძნება პროფესორ გურამ ყიფიანის ხელმძღვანელობით;
3. საინჟინრო ფაკულტეტის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის საბაკალავრო პროგრამის დამტკიცება;
4. საინჟინრო ფაკულტეტის ფარგლებში ფიზიკის მიმართულებით სრული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება, სპეციალიზაციით კვანტური ეფექტები ნანოსტრუქტურაში;
5. საინჟინრო ფაკულტეტის ფარგლებში „თეორიული ნანომასალათმცოდნეობის ცენტრის“ შექმნა;
6. ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით ისეთი ბეჭდვითი სერიების დაარსების განხილვა, როგორიცაა: სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის საერთაშორისო მემკვიდრეობა და მსოფლიო დრამატურგიის ბიბლიოთეკა;

7. ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში შემდეგი ცენტრების დაარსება: მსოფლიო თეატრისა და სათეატრო კრიტიკის შემსწავლელი ცენტრი, კინო და მედია-კომუნიკაციების შემსწავლელი ცენტრი და კულტურული მენეჯმენტისა და კულტურული პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრი;

8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე წიგნების თარგმანთან დაკავშირებით (1. Living in the Environment: Principles, Connections and Solutions

G. Tyler Miller, Scott Spoolman **2**. A Primer of Conservation Biology, Fourth Edition Richard B. Primack **3**. Glessgen, Martin-Dietrich: Linguistique romane. Domaines et méthodes en linguistique française et romane. Armand Colin, 2007. **4**. Marie-Anne PAVEAU, Georges-Elia SARFATI Les grandes théories de la linguistique. De la grammaire comparée à la pragmatique Arman Colin/VUEF, 2003. **5** . ARCHAEOLOGY ESSENTIALS. Theories, Methods, and Practice by Colin Renfrew & Paul Bahn (Abridged version) **6**. Umberto Eco "Come si scrive una tesi di **laurea);**

9. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ფარგლებში სადოქტორო პროგრამის „ცხოველთა სამყაროს სტრუქტურა, დიაგნოსტიკა" განხილვა და დამტკიცება;
10. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე შემდეგი საზაფხულო სკოლების განხორციელება: ,,სამხრეთი კავკასია: კულტურა, საზოგადოება, პოლიტიკა" და „ინკლუზიური განათლება და საკლასო პრაქტიკა";
11. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებები;
12. უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება;
13. მიკრობების გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის განხილვა და დამტკიცება;
14. თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის განცხადების განხილვა აკადემიური კონკურსის გამოცხადებისა და ფართის გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით;
15. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელ წესში ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;
16. სპორტის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „ფიზიკური განათლება და სპორტი" განხილვა და დამტკიცება;
17. საინჟინრო ფაკულტეტის შემდეგი პროგრამების დამტკიცება: საბაკალავრო - 1. არქიტექტურის პროგრამა, 2. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი- Mijor) 3. ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი - Maijor); სამაგისტრო - 1. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 2. ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისათვის; სადოქტორო - 1. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 2. დაბალი სივრცითი განზომილების მქონე კვანტური მასალების თეორია.

18. მიკრობების გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ,,მიკრობული გენომების ევოლუციური დივერგენციის მექანიზმები“- განხილვა და დამტკიცება.
19. ენტომოლოგიისა და ბიოკონტროლის კვლევითი ცენტრის დირექტორის, გიორგი ჯაფოშვილის წერილის განხილვა, რომელშიც იგი ითხოვს ცენტრისათვის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სამუშაო და სალაბორატორიო ფართის გაზრდას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი ბახტაძე;
5. გიორგი მენაბდე;
6. გიგა ზედანია.
7. ლევან ხეთაგური;
8. ზურაბ თავართქილაძე;
9. გიორგი ხიმშიაშვილი;
10. დავით მიქელაძე;
11. ივანე მურუსიძე.

აკადემიურ საბჭოს მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დეკანი, პროფესორი **დავით აფრასიძე** და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ზურაბ ჯავახიშვილი.**

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2011 წლის 30 მაისის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. **დამტკიცდეს** - ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ნათია კოპალიანის უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით განისაზღვროს 6 თვის ვადით, 2011 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით;
2. **დადგინდეს** - დაფუძნდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე პალეოურბანისტული კვლევების ლაბორატორია პროფესორ გურამ ყიფიანის ხელმძღვანელობით და საკითხი წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;
3. **დამტკიცდეს** - საინჟინრო ფაკულტეტის სახვითი და გამოყენებითი ცენტრის საბაკალავრო პროგრამა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი/Major და მეორე/minor);
4. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია კონკურსი საინჟინრო ფაკულტეტისათვის ფიზიკის მიმართულებით სრული პროფესორის თანამდებობაზე, სპეციალიზაციით კვანტური ეფექტები ნანოსტრუქტურაში, შემოსული საკონკურსო განაცხადები განიხილოს ფაკულტეტმა და გამოავლინოს გამარჯვებული;
5. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას საინჟინრო ფაკულტეტის შემოთავაზება ფაკულტეტის ფარგლებში „თეორიული ნანომასალათმცოდნეობის ცენტრის“ შექმნასთან დაკავშირებით და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
6. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივა ისეთი ბეჭდვითი სერიების დაარსების შესახებ, როგორიცაა: სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის საერთაშორისო მემკვიდრეობა და მსოფლიო დრამატურგიის ბიბლიოთეკა. დაევალოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. ლევან ხეთაგურს, ზემოთ აღნიშნულ ბეჭვდით გამოცემებთან დაკავშირებით ითანამშრომლოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან;
7. **დადგინდეს** - რადგან პროფესორ ლევან ხეთაგურის განმარტებით, ქვემოთ აღნიშნული ცენტრების შექმნა არ იწვევს დამატებით ფინანსური და ადამიანური რესურსების გაზრდას, შეიქმნას ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში შემდეგი ცენტრები: მსოფლიო თეატრისა და სათეატრო კრიტიკის შემსწავლელი ცენტრი, კინო და მედია-კომუნიკაციების შემსწავლელი ცენტრი, კულტურული მენეჯმენტისა და

კულტურული პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრი და საკითხი წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

8. **დადგინდეს** - გაიმართოს დამატებითი კონსულტაციები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი (**1**. Living in the Environment: Principles, Connections and Solutions G. Tyler Miller, Scott Spoolman **2**. A Primer of Conservation Biology, Fourth Edition Richard B. Primack **3**. Glessgen, Martin-Dietrich: Linguistique romane. Domaines et méthodes en linguistique française et romane. Armand Colin, 2007. **4**. Marie-Anne PAVEAU, Georges-Elia SARFATI Les grandes théories de la linguistique. De la grammaire comparée à la pragmatique Arman Colin/VUEF, 2003**. 5** . ARCHAEOLOGY ESSENTIALS. Theories, Methods, and Practice by Colin Renfrew & Paul Bahn (Abridged version) **6**. Umberto Eco "Come si scrive una tesi di **laurea)** წიგნების თარგმნასთან დაკავშირებით და საკითხი გადაიდოს განსახილველად კონსულტაციების დასრულების შემდგომ;
9. **დადგინდეს** - გადაიდოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ფარგლებში სადოქტორო პროგრამის „ცხოველთა სამყაროს სტრუქტურა, დიაგნოსტიკა" - განხილვა და დამტკიცება შემდეგი აკადემიური საბჭოსთვის;
10. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე საზაფხულო სკოლების პროგრამა ,,სამხრეთი კავკასია: კულტურა, საზოგადოება, პოლიტიკა" და „ინკლუზიური განათლება და საკლასო პრაქტიკა";
11. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში;
12. **დამტკიცდეს** - წარმოდგენილი სახით სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებები;
13. **დადგინდეს** - ვინაიდან თეორიული ფიზიკის ინსტიტუტმა განცხადება აკადემიური კონკურსის გამოცხადებისა და ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით წარმოადგინა 30 მაისს, საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, აღნიშნული საკითხი გადაიდოს განსახილველად შემდგომი აკადემიური საბჭოსთვის;
14. **დამტკიცდეს** - იურიდიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელ წესში" წარმოდგენილი სახით;

15. **დამტკიცდეს** - სპორტის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა „ფიზიკური განათლება და სპორტი“;
16. **დამტკიცდეს** საინჟინრო ფაკულტეტის შემდეგი პროგრამები: საბაკალავრო - 1. არქიტექტურის პროგრამა, 2. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი -Mijor) 3. ელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი - Maijor); სამაგისტრო - 1. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 2. ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისათვის; სადოქტორო - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები 2. დაბალი სივრცითი განზომილების მქონე კვანტური მასალების თეორია.
17. **დადგინდეს** - გადაიდოს შემდეგი აკადემიური საბჭოსთვის მიკრობების გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ,,მიკრობული გენომების ევოლუციური დივერგენციის მექანიზმები“ - განხილვა და დამტკიცება;
18. **დადგინდეს** - ენტომოლოგიისა და ბიოკონტროლის კვლევითი ცენტრის დირექტორის, გიორგი ჯაფოშვილის მიერ უნივერსიტეტის ფარგლებში საოფისე- სამეცნიერო ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით შეიქმნას ნდობის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გიგი თევზაძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ზურაბ ჯავახიშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, გიგა ზედანია - მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის დირექტორი, დავით მიქელაძე - ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. აღნიშნულმა ჯგუფმა შეისწავლოს საკითხი და მოსაზრებები წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს, რის შემდეგაც იმსჯელოს აკადემიურმა საბჭომ და მიიღოს გადაწყვეტილება;

სხდომის თავმჯდომარე
გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი
მაია თევზაძე